



ევროკავშირი და საქართველო

#StrongerTogether



ევროკავშირმა და საქართველომ ასოცირების შესახებ შეთანხმებას ხელი 2014 წელს მოაწერეს და ის სრულ ძალაში 2016 წლის ივლისში შევიდა. ხელშეკრულებამ პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის საფუძველი შექმნა.



2017 წელს ვიზალიბერალიზაციის მიზიქების შემდეგ, საქართველოს 500,000-ზე მეტმა მოქალაქემ 1 მილიონზე მეტჯერ იმოგზაურა ევროკავშირში ვიზის გარეშე.

ამ თანამშრომლობის უმნიშვნელოვანეს სარგებელთა შორისაა **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA)**, რომელმაც 2017 წლის 28 მარტიდან ქართულ ბიზნესს და პროდუქტებს ევროპის ბაზარი გაუხსნა, ხოლო საქართველოს მოსახლეობას შენგენის სივრცეში **უვიზო მიმოსვლის საშუალება** მისცა.

ევროკავშირი საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორია, რომლის წილმა ვაჭრობის მთლიან მოცულობაში 2020 წელს 27% შეადგინა.

ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა

ევროკავშირი კონკრეტული ინვესტიციებით უჭერს მხარს საქართველოს, რათა დაჩქარდეს პოსტპანდემიური აღდგენა და გაუმჯობესდეს საქართველოს მოქალაქეების ცხოვრება. უახლოეს წლებში ევროკავშირი ინვესტიციებს განახორციელებს შემდეგ **ხუთ საფაღამანო პროექტში**:



ევროკავშირი საქართველოს უდიდესი დონორია და ის გრანტების სახით ყოველწლიურად 120 მილიონ ევროზე მეტს გამოყოფს ქვეყნის ამბიციური რეფორმების გეგმის მხარდასაჭერად.

ეკონომიკა

- 2020 წელს საქართველოში პროგრამის, EU4Business ფარგლებში მხარი დაეჭირა 19,000-მდე მცირე და საშუალო სანარმოს, რომელთაგან 24%-ს ქალები ხელმძღვანელობენ. ამის შედეგად შეიქმნა 10,000 სამუშაო ადგილი, პანდემიის განმავლობაში კი 90,000 სამუშაო ადგილი შენარჩუნდა.



ინსტიტუტები

- 200 საჯარო და საბანკო მომსახურება, რომელსაც ევროკავშირის დახმარებით გახსნილი 76 საზოგადოებრივი ცენტრი ახორციელებს, ცენტრალური დასახლებებიდან მოშორებით მცხოვრები 90,000-ზე მეტი ადამიანისთვისაა ხელმისაწვდომი.

სანდო ინტერნეტი შავი ზღვის მონაცემთა კაბელის და ელექტრობის კაბელის საშუალებით



მწვანე გარდაქმნა

- ევროკავშირის ინვესტიციის მეშვეობით, საქართველოში ამჟამად კავკასიაში პირველი კომერციული ქარის ელექტროსადგური მოქმედებს.

საზოგადოება

- 2014 წლიდან მოყოლებული, სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა საქართველოსა და ევროკავშირის შორის Erasmus+ გაცვლითი პროგრამებით 11,000-ზე მეტჯერ ისარგებლეს.

საბორნე კავშირები შავ ზღვაში



აღდგენა მდგრადობა რეფორმები

ციფრული გარდაქმნა

ევროკავშირი და საქართველო პროგრამის, EU4Digital ფარგლებში ახორციელებენ საპილოტე პროექტებს, რომელთა მიზანია ევროკავშირთან ტრანსსასაზღვრო ელ-კომერციის 50%-ით გაზრდა.



80,000 მცირე და საშუალო სანარმოს მხარდაჭერა



მაღალსიჩქარიანი ინტერნეტი 1,000 სასოფლო თემისთვის



უფრო სუფთა ჰაერი 1 მილიონი ადამიანისთვის



COVID-19-ზე პასუხი



ევროკავშირმა სწრაფი რეაგირება მოახდინა საქართველოს და მისი მოქალაქეების დაუყოვნებელ საჭიროებებზე. სოციალურ-ეკონომიკური აღდგენის და დაუყოვნებელი საჭიროებების მხარდასაჭერად მან „ევროპის გუნდის“ ფარგლებში მობილიზება გაუწია COVID-19-ზე რეაგირების სპეციალურად მორგებულ პაკეტს, რომლის მოცულობა 183 მილიონ ევროს აღემატებოდა. გარდა ამისა, საქართველომ მიიღო 150 მილიონი ევროს ოდენობის მაკროფინანსური დახმარება, რომლის საშუალებით მთავრობამ შეძლო 400,000 სამუშაო ადგილის შენარჩუნება და მიზნობრივი სოციალური დახმარების განევა 78,000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი ოჯახისა და 45,000 უნარშეზღუდული ადამიანისთვის. საქართველომ პანდემიის წინა ხაზზე მომუშავე პერსონალს და ლაბორატორიებს გადაეცა სამედიცინო მარაგების, ვენტილატორების და დამცავი აღჭურვილობის 2 მილიონამდე ერთეული. საქართველო ლებულობს ვაქცინებს COVAX პლატფორმის საშუალებით, „ევროპის გუნდის“ 3 მილიარდ ევროზე მეტი ოდენობის დახმარების და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ბილათერალური მხარდაჭერის საფუძველზე. 2021 წლის 15 ნოემბრიდან ევროკავშირისა და საქართველოს შორის ორმხრივად არის აღიარებული ციფრული COVID-სერთიფიკატები.

ბოლო განახლება: 11/2021